საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში საზღვაო მყარი ნარჩენების მონიტორინგი

გიორგი ბიბილაშვილი

ელ–ფოსტა: giorgi.bibilashvili250@ens.tsu.edu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

შავი ზღვა ერთ-ერთი უდიდესი შიდაკონტინენტური ზღვაა. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკისდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ზრდასთან ერთად მატულობს გარემოზე ზემოქმედებიას რისკი. ზემოქმედების ფაქტორებს შორის უკანასკნელ ათწლეულებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოხვედრა ზღვის გარემოში. ნარჩენებად განიხილება (ნებისმიერი მდგრადი, დამზადებული ან დამუშავებული მყარი მასალა, რომელიც გადაყრილია, დატოვებულია ან დაკარგულია ზღვის და სანაპირო გარემოში.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ზღვის გარემოში პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოხვედრილი დიდი რაოდენობით მყარი ნარჩენები, სხვა კატეგორიის ორგანულ დამაბინძურებლებლებთან ერთად, იწვევს ზღვის წყლის ხარისხის გაუარესებას, ზოგადად ზღვის გარემოს სიკეთეებისა და მომსახურების მდგრადი გამოყენების გაუარესებას.

ზღვის გარემოს დაბინძურების კიდევ ერთი ფაქტორია საზღვაო-სატრანსპორტო მიმოსვლის ზრდა. ოკეანესთან შავი ზღვის წყლის შეზღუდული მიმოცვლა ხელს უშლის ზღვის გარემოში მოხვედრილი დამაბინძურებლების გატანას, რის შედეგადაც ძლიერდება აკუმულაციური პროცესები. აქედან გამომდინარე, შავი ზღვა ძლიერი ანთროპოგენული დატვირთვის ქვეშ იმყოფება.

რეგიონის ქვეყნებისათვის გარემოსდაცვით საკითხებს შორის ზღვის ეკოლოგიური პრობლემების კვლევა ერთ-ერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული, რასაც მოწმობს შავი ზღვის დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, რომელთა წევრი საქართველოც არის.

მოცემული ნაშრომის მიზანია ზღვის გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება მყარი ნარჩენებით დაბინძურების თვალსაზრისით, საქართველოს სანაპირო ზონის მყარი ნარჩენებით დაბინძურების მონიტორინგი, საქართველოს შავი ზღვის მდინარეთა აუზებში არსებული ეკოლოგიური სიტუაციისა და ზღვის გარემოს მდგომარეობის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირის გამოვლენა და ანთროპოგენული ფაქტორების იდენტიფიცირება. სამაგისტრო ნაშრომში დასაბუთებულია პრობლემის აქტუალობა, დეტალურად განხილულია კვლევის მიზნები და ამოცანები, შავი ზღვის მყარი ნარჩენებით დაბინძურება და მასთან დაკავშირებული თემატიკა. ნაშრომი ეფუძნება 2019 წელს საქართველოს სანაპირო ზონაში პლაჟებზე, მდინარეებისა და ზღვის ზედაპირზე ჩატარებულ დაკვირვებებს, რომელთა მიზანი იყო ზღვის გარემოში მყარი ნარჩენების გავრცელების ხასიათის შესწავლა. კვლევები ჩატარებულია საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

კვლევა შესრულებულია ევროკომისიის და გაეროს განვითარების პროგრამის (EC/UNDP) მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის „შავ ზღვაზე გარემოს დაცვის მონიტორინგის გაუმჯობესება - შერჩეული ღონისძიებები, ემბლას პლიუსი“ (Improving Environmental Monitoring in the Black Sea – Selected Measures, EMBLAS-Plus) – ის ფარგლებში.